



მიტროპოლიტი ილარიონი: ყოვლადნიდა ღვთისმშობლის საფარველის დღეს ჩვენ ღვთის დედის ზეციურ მეოხებას განვადიდებთ



2021 წლის 21 სექტემბერს, ჩვენი ყოვლადნიდა დედოფლის და მარადის ქალწულის მარიამის საფარველის დღესასწაულზე, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა, მოსკოვში დიდ ორდინკაზე „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ ხატის სახელობის ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღასრულა.

მწყემსთმთავარს ვლადიმირის ეპარქიის მისიონერული განყოფილების ხელმძღვანელი დეკანოზი არკადი მაკოვეცკი და ტაძრის კლირიკოსები თანამსახურებდნენ.

ამავე ტაძარში წინა სალამოს მიტროპოლიტმა სადღესასწაული ლოცვა შეასრულა.

მრჩობლ კვერექსზე გაჟღერდა კორონავირუსული ინფექციისგან დასახსნელი სავედრებელი ლოცვები.

შემდეგ მიტროპოლიტმა ილარიონმა სნების განმფენი ქარის დროს საკითხავი ლოცვა აღავლინა.

ღმრთისმსახურების დასრულებისას მწყემსთმთავარმა დამსწრეებს ქადაგების სიტყვით მიმართა:

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ქალწული დღეს მდგომარე წინაშე მეუფისა, გუნდთა თანა წმიდათასა უხილავად ევედრების უფალსა – გვესმოდა დღევანდელ ღვთისმსახურებაზე. ეს სიტყვები გამოხატავს თვით სადღესასწაულო მოვლენის – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარველის – არსს.

წმინდა ანდრია სალოსმა, რომელიც მე-X საუკუნეში ცხოვრობდა, კონსტანტინეპოლის ვლადქერნის ტაძარში ღვთისმსახურების ლოცვაზე დაინახა, თუ როგორ ჩამოვიდა მლოცველებთან ზეციდან ღვთისმშობელი მოციქულ იოანე ღვთისმეტყველისა და იოანე წინამორბედის თანხლებით, რათა თავისი ქალაქი და თავისი ხალხი დაეცვა. მან თავიდან საფარველი მოიხსნა, რომელსაც ჩვენ მის პატიოსან ომოფორს ვუწოდებთ, და ის ქალაქსა და ხალხს გადაფინა. და ეს მანათობელი გამოცხადება, რომლის შესახებაც წმინდანმა მოყვა, საფუძვლად ექცა დღევანდელ დღესასწაულს.

საინტერესოა, რომ ამ დღესასწაულმა რუსეთში ფართო გავრცელება ჰპოვა, მაშინ როდესაც, საბერძნეთში ამ მოვლენას ნაკლებად ახსნიებენ და არც ისე საზეიმოდ აღნიშნავენ. მაგრამ როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი რუსეთში მართლმადიდებლობასთან ერთად მოვიდა, მაშინ მისი საფარველის დღესასწაული ჩვენს ხალხს ძალიან მოეწონა. წმინდა მთავარმა ანდრია ბოგოლიუბსკიმ საფარველის საპატივცემულოდ ნერლიზე საფარველის ცნობილი ტაძარი ააგო, რის შემდეგაც ამ მოვლენის საპატივცემულოდ მთელს დაინყეს რუსეთში ტაძრების აღმართვა.

ახლა ვდღესასწაულობთ რა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარველს, ჩვენ განვადიდებთ მის ზეციურ შუამდგომლობას და მეოხებავს. ბევრი ადამიანი მოდის ღვთისმსახურების ლოცვაზე, დგანან და ლოცულობენ, მაგრამ ყველას არ შეუძლია, წმინდა ანდრია სალოსის მსგავსად, თავისი სულიერი თვალებით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ანგელოზები და წმინდანები იხილოს, რომლებიც ჩვენთან ერთად და ჩვენთვის ღვთის წინაშე უხილავად ლოცულობენ.

ყოველ ჯერზე, როდესაც ტაძარში ღვთისმსახურება აღესრულება, განსაკუთრებით, როდესაც საღმრთო ლიტურგია აღევლინება, ტაძარში იმყოფებიან არა მხოლოდ ღვთისმსახურებაზე მოსული ადამიანები, არამედ ზეციური ძალებიც, ასევე წმინდანებიც, რომლებსაც ჩვენ ლოცვებით მოვიხმობთ. და ყველა ჩვენგანზე ზემოთ, – როგორც უპატოსნესი ქერუბიმებთასა და აღმატებული სერაბიმთასა, როგორც თავისი სინმინდით უსაზღვროდ აღმატებული არა მხოლოდ ნებისმიერ ადამიანზე, არამედ ანგელოზთა დასზეც, – დგას ყოვლანმიდა ღვთისმშობელი. ის ჩვენთვის უხილავად ევედრება ღმერთს და თავის ომოფორს საფარველად გვაფენს, გვიცავს ყოველგვარი ბოროტებისგან, გვიფარავს და ჩვენთვის შუამდგომლობს თავისი ძისა და ჩვენი ზეციური მამის წინაშე.

ღვთისმშობლის სახეგვარობა (Οὐραν) – შუამდგომლისა და მეოხისა – რუს ხალხს იმდენად შეუყვარდა, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული არანაკლები ზეიმით აღინიშნება, ვიდრე თორმეტი დღესასწაული.

ჩვენ ვევედრებით დედა ღვთისმშობელს, ვთხოვთ, დაგვიცვას ჩვენ, ჩვენი სამშობლო, ჩვენი ახლობლები ყოველგვარი ბოროტებისგან. ეს ლოცვა ყოველთვის აქტუალურია, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როდესაც ჩვენს სამშობლოს და მთელ მსოფლიოს საშინელი განსაცდელი დაატყდა თავს, როდესაც ყოველდღიურად ჩვენს თვალწინ რამდენიმე ასეული ადამიანი იღუპება. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში დაღუპულთა რიცხვი დღეში ათასს უახლოვდებოდა. ეს ძალიან ბევრია. ადამიანები ადრეულ ასაკშიც და ხანდაზმულ ასაკშიც, – მათ, ვისაც შეეძლოთ კიდევ ათი წელი ან ათწლეულები ეცოცხლათ, ახლა მძიმე ტანჯვაში არიან. იხრჩობიან, საკუთარ ახლობლებთან ადამიანურად გამომშვიდობების შესაძლებლობაც არ აქვთ, ტოვებენ ამ სამყაროს. ჩვენ მათთვის ვლოცულობთ. ვლოცულობთ ყველასთვის, ვინც ახლა თავის ახლობლებს კარგავს. ჩვენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ლოცვით მივმართავთ, რომ ყველა ჩვენგანს დაეხმაროს ამ მძიმე განსაცდელის გადატანაში; დაიცვას ყველა, ვინც ახლა ავადმყოფობის სარეცელზე წევს, და ისინი, ვინც სასიკვდილო სარეცელზეა, და დაიფაროს ყველა დანარჩენი ამ საშინელი ავადმყოფობისგან.

რა თქმა უნდა, ჩვენ თავადაც ძალისხმევა უნდა დავიშუროთ სიფრთხილის ზომების დასაცავად, მაგრამ ლოცვაში მოწოდებულნი ვართ ყოველთვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს მივმართოთ, რადგან ის არის ჩვენი შუამდგომელი, ჩვენი მეოხი. თუ ის ინებებს, მაშინ ყოველგვარ უბედურებას აგვარიდეს, როგორც ეს ბევრჯერ მომხდარა ჩვენი რუსეთის ისტორიის განმავლობაში, როდესაც მტრების უზარმაზარი ლაშქარი გვიტევდა, მაგრამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძალით ისინი შორს განიდევნებოდნენ.

გვნამს, რომ ეს განსაცდელი, რომელიც ჩვენ მოგვენია, – ზეციური დედოფლის ლოცვებით, წმინდა იოანე ნათლისმცემლის და წმინდა მოციქულის იოანე ღვთისმეტყველის შუამდგომლობით, რომლებიც მასთან ერთად გამორჩნდნენ, სხვა წმინდანთა შუამდგომლობით, მათ შორის ვნებათდამთმენელი წმინდა სამეფო ოჯახისა და რუსეთის ეკლესიის ყველა ახალმონამისა და აღმსარებელისა, – დასრულდება, და ჩვენ შევძლებთ მადლობა გადავუხადოთ უფალს მისი ზეციური წყალობისათვის და იმისთვის, რომ ის გვიცავს და გვმფარველობს ჩვენ ყოველგვარი ბოროტებისგან“.

შემდეგ უწმინდესი პატრიარქის კირილეს დავალებით, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა დეკანოზ არკადი მაკოვეცკის დოქტორის ჯვარი უბოძა, რომელმაც ზოგადსაეკლესიო სადოქტორო

სადისერტაციო საბჭოზე 2021 წლის 6 აპრილს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია საზღვარგარეთ: მისი სამრევლოების წარმოშობისა და ორგანიზაციული გაფორმების ეტაპი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე და მათი გაერთიანება დედა-ეკლესიასთან (1990-2007 წწ.)“ –

დეკანოზ არკადისთვის დისერტაციის წარმატებული დაცვის მილოცვისას, მეუფემ მას უთხრა: „მამა არკადი, თქვენი დისერტაციის თემა ძალიან აქტუალურია, რადგან იგი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე არსებულ განხეთქილებებს ეძღვნება.

90-იან წლებში, როდესაც ჩვენი ხალხის მრავალ გონებაში დაბნეულობა სუფევდა, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვიყავით რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიასთან ერთობისგან, რუსეთის ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე საზღვარგარეთის ეკლესიის სტრუქტურების შექმნა დაიწყო, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოს ოპოზიციაში იმყოფებოდა.

ეს ყველაფერი ღვთის შენევნით გადაილახა, როდესაც 2007 წელს შედგა ისტორიული შეერთება სამშობლოში არსებული ეკლესიისა გაფანტულობაში მყოფ ეკლესიასთან. მხოლოდ რამდენიმე დარჩა, ვინც არ მოისურვა ეკლესიასთან შეერთება. ისინი დღესაც წარმოადგენენ მცირე სქიზმატურ გაერთიანებებს, სადაც, როგორც ხუმრობენ ხოლმე, უფრო მეტი მიტროპოლიტია, ვიდრე მრევლი, რადგან ხალხი ამ ადამიანებს არ მიჰყვება.

ჩვენი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე ალტერნატიული მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნის მცდელობას განსაკუთრებით 90-იან წლებში ჰქონდა ადგილი. მამა არკადიმ ეს თავის სადოქტორო დისერტაციაში აღწერა, და როგორც წარმატებით დამცველმა დისერტაციისა ზოგადსაეკლესიო ასპირანტურასა და დოქტორანტურაში, ჩვენს სადისერტაციო საბჭოში, მან დღეს დოქტორის ჯვარი მიიღო“.

დასასრულ, მიტროპოლიტმა ილარიონმა ყველა დამსწრეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული მიულოცა. „დაე ღვთისმშობელმა თავისი პატიოსანი ომოფორით დაგვიფაროს ყოველგვარი ბოროტებისგან“, – უსურვა მეუფემ დამსწრე საზოგადოებას.

სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური

